



**სექტორის მიმოხილვა**

**ზოგადი ტენდენციები: თხილის სექტორი**

საქართველოსთვის თხილი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საექსპორტო პროდუქტია: 2010-2021 წლებში თხილის ექსპორტმა მთლიანი ექსპორტის დაახლოებით 4.4% შეადგინა (საქსტატი, 2022). 2013 წელს კი, ექსპორტირებული თხილის რაოდენობამ მაქსიმალურ მაჩვენებელს მიაღწია (30 ათასი ტონა). მომდევნო წლებში აღნიშნული მაჩვენებელი 19 ათას ტონამდე შემცირდა, თუმცა გაიზარდა ექსპორტირებული თხილის ღირებულება, რაც ნიშნავს, რომ ერთი კილოგრამი ექსპორტირებული ქართული თხილის ფასი უფრო მაღალი იყო, ვიდრე წინა წლებში. 2017 წელი თხილის სექტორისთვის საკმაოდ რთული აღმოჩნდა: გავრცელდა სხვადასხვა სოკოვანი დაავადება, ხოლო აზიური ფაროსანას შემოჭრამ კიდევ უფრო დაამძიმა სექტორში არსებული სიტუაცია. შედეგად, გაუარესდა როგორც წარმოებული თხილის ხარისხი, ისე შემცირდა წარმოებული რაოდენობაც. 2019 წელს თხილის სექტორმა აღდგენა დაიწყო და 2020 და 2021 წლებში თხილის წარმოება, ისევე როგორც ექსპორტი, კვლავ გაიზარდა. თხილის სექტორისთვის წლებიდან წელი კვლავ გამოწვევებით სავსე აღმოჩნდა, ძირითადად, არახელსაყრელი მეტეოროლოგიური პირობების გამო. ფერმერებმა ვერ შეძლეს თხილის მოვლის ღონისძიებების სათანადოდ ჩატარება და, შესაბამისად, გაჩნდა წარმოების შემცირებასა და თხილის ხარისხის გაუარესებასთან დაკავშირებული მოლოდინები.



წყარო: საქსტატი, 2022. შენიშვნა: \*იანვარ-ნოემბერი 2022



წყარო: საქსტატი, 2022. შენიშვნა: \*ექსპორტების პროგნოზი

ამ გამოწვევების საპასუხოდ, 2022 წლის 31 ოქტომბერს საქართველოს მთავრობამ [ახალი პროგრამა დაიწყო](#), რომელიც თხილის წარმოების ხელშეწყობასა და ფერმერების დახმარებას ითვალისწინებს. პროგრამა მიზნად ისახავს თხილის პირველადი წარმოების ხელშეწყობას თხილის ბაღების მესაკუთრეებისა და მეწარმეთა წახალისების გზით და თხილის მოვლა-მოყვანისთვის საჭირო საშუალებების სუბსიდირებას. პროგრამის ფარგლებში სუბსიდიის მისაღებად პოტენციური ბენეფიციარი ან უნდა ფლობდეს, ან უნდა იყოს თანამესაკუთრე, ან ფაქტობრივად ფლობდეს თხილის ბაღ(ებ)ს, რომლის/რომელთა საერთო ფართობი არის არანაკლებ [0.2, და არაუმეტეს 3 ჰა-ისა](#). სუბსიდია განისაზღვრება 500 ქულით 1 ჰა თხილის ბაღზე გადაანგარიშებით, 1 ქულა = 1 ლარს, თხილის ბაღ(ებ)ის თითოეულ ბენეფიციარზე.

პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად ფერმერები უნდა დარეგისტრირდნენ თხილის ბაღების კადასტრში. საქართველოს მთავრობა გეგმავს აღნიშნული თხილის კადასტრის შექმნას, წარმოებისა და ჯიშების შესახებ მონაცემების შეგროვებას და აღნიშნული მონაცემების ანალიზის საფუძველზე შესაბამისი ზომების გატარებას.

თხილის სექტორის ხელშეწყობის პროგრამას გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი სოფლის განვითარების სააგენტო განახორციელებს და საწყისი ეტაპისთვის ამისათვის დაახლოებით 20 მლნ. ლარი გამოიყო. ეს არ არის მთავრობის მიერ კონკრეტული სექტორის სუბსიდირების პირველი შემთხვევა. ბოლო ათი წლის განმავლობაში, საქართველოს მთავრობა მუდმივად ასუბსიდირებდა ყურძნის, ვაშლისა და მანდარინის წარმოებას ქვეყნის მასშტაბით.


## ფასები

### ადგილობრივი ფასები

2022 წლის სექტემბერ-ნოემბერში ქვეყანაში ფასების დონე თვიურ ჭრილში სტაბილური იყო. ნოემბერში სამომხმარებლო ფასების ინდექსი (CPI) უმნიშვნელოდ (0.47%) გაიზარდა 2022 წლის ოქტომბრის მაჩვენებელთან შედარებით. ფასების ცვლილების მაჩვენებელი სექტემბერში 0.8%, ოქტომბერში კი 0.49% იყო.

2022 წლის სექტემბერ-ნოემბერში, სურსათისა და უალკოჰოლო სასმელების ჯგუფში (FPI) ფასების დონე თვიურ ჭრილში იზრდებოდა. ნოემბერში სურსათის ფასები 1.5%-ით გაიზარდა 2022 წლის ოქტომბერთან შედარებით; სურსათის ფასების ზრდის მაჩვენებელი სექტემბერში 1.7%, ოქტომბერში კი 1.4% იყო.

სამომხმარებლო ფასების ინდექსი წინა თვესთან შედარებით (სექტემბერ-ნოემბერი 2022)



სურსათის ფასების ინდექსი წინა თვესთან შედარებით (სექტემბერ-ნოემბერი 2022)




წყარო: საქსტატი, 2022. შენიშვნა: წინა თვის მაჩვენებელი 100 იყო.

2022 წლის სექტემბერსა და ნოემბერში CPI წლიურ ჭრილში ზრდას განაგრძობდა. სექტემბერში წლიურმა ინფლაციამ 11.5% შეადგინა. ინფლაციის მაჩვენებელი ოქტომბერში 10.6%, ნოემბერში კი 10.4% იყო.

2022 წლის ნოემბერში, სურსათისა და უალკოჰოლო სასმელების ჯგუფშიც ფასების წლიური მაჩვენებელი მნიშვნელოვნად, 16.8%-ით გაიზარდა, რამაც CPI 5.55 პროცენტული პუნქტით გაზარდა. ძირითადი გავლენა მოახდინა ფასების ზრდამ შემდეგ ქვეჯგუფებში:

სამომხმარებლო ფასებისა და სურსათის ფასების ინდექსების წლიური ცვლილება



ბოსტნეული და ბაღჩეული (26.0%<sup>ა</sup>)

პური და პურპროდუქტები (23.8%<sup>ა</sup>)



მინერალური და წყაროს წყალი, უალკოჰოლო სასმელები და ნატურალური წვენები (22.0%<sup>ა</sup>)

წყარო: საქსტატი, 2022

## უფრო ვრცლად სურსათის ფასებზე

ბოლო ორი წლის განმავლობაში საქართველოში სურსათის ფასები იზრდებოდა და ამ კატეგორიაში ინფლაციის მაჩვენებელი ორნიშნა იყო, რაც ძირითადად მიწოდებასთან დაკავშირებული ფაქტორებით იყო განპირობებული (წარმოების შემცირება, ნავთობის ფასების ზრდა და პანდემიასთან დაკავშირებული შეზღუდვები). რუსეთის უკრაინაში შეჭრამ კიდევ უფრო გაზარდა ზეწოლა სურსათის საერთაშორისო ბაზრებზე, სადაც ფასები უკვე ისედაც აღმავალი ტენდენციით ხასიათდებოდა. სურსათის წლიურმა ფასებმა 2022 წლის მაისში 22%-ით მოიმატა, მომდევნო თვეებში კი წლიური ინფლაცია სურსათის კატეგორიაში 17.4%-ის ირგვლის მერყეობდა. 2022 წლის ნოემბერში სურსათის ფასები წლიურ ჭრილში 16.8%-ით გაიზარდა. ყველაზე მეტად გაძვირდა შემდეგ კატეგორიებში შემავალი პროდუქტები:

**ბოსტნეული და ბაღიეული** – 2022 წლის ნოემბერში ბოსტნეულის ქვეკატეგორიაში შემავალი პროდუქტების უმეტესობა გაძვირდა. ყველაზე მეტად კარტოფილი (39.2%) და ხახვი (37.9%) გაძვირდა. ფერმერთა თქმით, კარტოფილის ფასების ასეთი მკვეთრი ზრდა განპირობებულია შემცირებული წარმოებით და აზერბაიჯანში კარტოფილის ექსპორტის გაზრდილი მოთხოვნით, ასევე წარმოებისა და ტრანსპორტირების გაზრდილი ხარჯებით. რაც შეეხება ხახვს, შემცირებულ წარმოებას თურქეთიდან ხახვის ექსპორტის აკრძალვაც დაემატა. აღსანიშნავია, რომ თურქეთმა კარტოფილის ექსპორტიც აკრძალა ქვეყნის შიგნით სტაბილური მიწოდების უზრუნველყოფის მიზნით.

**პური და პურპროდუქტები** – 2022 წლის ნოემბერში ამ კატეგორიის პროდუქტებიდან ყველაზე მეტად სიმინდისა (82.8%) და ხორბლის ფქვილი (27.1%) გაძვირდა. სიმინდის ფქვილის ფასის ამგვარი ზრდა გამოწვეულია არახელსაყრელი ამინდის გამო სიმინდის მოსავლის შემცირებით. ხოლო რუსეთის მიერ ქვეყანაში ვაჭრობასთან დაკავშირებით მიღებულმა ზომებმა (მაგ. ექსპორტის გადასახადის ზრდამ) გავლენა იქონია პურისა და მარცვლეულის კატეგორიაში შემავალი პროდუქტების ფასების ზრდაზე. რუსული ხორბლის ექსპორტზე გაზრდილი გადასახადის გამო ამ კატეგორიაში ფასები შესაძლოა კიდევ გაიზარდოს.


**მინერალური და წყაროს წყალი, უალკოჰოლო სასმელები და ნატურალური წვენები** – ამ ქვეკატეგორიაში ყველაზე მეტად გაზიანი მინერალური წყლის (25.9%) და კოლას ტიპის გამაგრილებელი სასმელების (19.3%) ფასები გაიზარდა. 2022 წლის დასაწყისში, მინერალური წყლების ფასი საგრძნობლად გაიზარდა გაზრდილი წარმოების ხარჯების და, შესაბამისად, გაზრდილი თვითღირებულების გამო. ვაჭრობის სტატისტიკა აჩვენებს, რომ 2022 წლის იანვარ-ნოემბრის პერიოდში გაიზარდა შაქრის ან სხვა დამატკბობლების შემცველი სასმელების, მათ შორის, მინერალური და გაზიანი წყლების ექსპორტი როგორც რაოდენობის, ისე ღირებულების თვალსაზრისით, რაც შეიძლება იყოს გაზრდილი საგარეო მოთხოვნის ნიშანი, რაც, თავის მხრივ, ფასების ზრდას იწვევს.

## საერთაშორისო ფასები

2022 წლის სექტემბერ-ნოემბრის პერიოდში საერთაშორისო ფასები თვიურ ჭრილში მცირდებოდა, თუმცა კვლავ მაღალი იყო წინა წლის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით. 2022 წლის ნოემბერში სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) სურსათის ფასების ინდექსი თითქმის არ შეცვლილა (0.3%) 2021 წლის ნოემბერთან შედარებით. ფასების ყველაზე დიდი ზრდა რძის პროდუქტების (9.2%), მარცვლეულისა (6.3%) და ხორცის (4.1%) კატეგორიაში დაფიქსირდა. ფასები შემცირდა მცენარეული ზეთისა (-16.2%) და შაქრის (-4.9%) კატეგორიაში.

შავი ზღვის მარცვლეულის ინიციატივამ და საკმარისი გლობალური მარაგების არსებობის მოლოდინმა შეამსუბუქა წნეხი მარცვლეულის, ხორბლის და ზეთის თვიურ ფასებზე.

ხოლო წარმოების შემცირებასა და ექსპორტის ხელმისაწვდომობის შეზღუდვასთან დაკავშირებულმა მოლოდინებმა რძისა და ხორცპროდუქტების თვიურ ჭრილში ფასების ზრდა განაპირობა.





წყარო: FAO, 2022

## საერთაშორისო ვაჭრობა

მიმდინარე წელს ექსპორტმა ზრდის ტენდენცია აჩვენა. 2022 წლის იანვარ-ნოემბრის პერიოდში მთლიანი ექსპორტის მაჩვენებელი 5,037 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 32%-ით აღემატება გასული წლის შესაბამის მაჩვენებელს (3,823 მლნ. აშშ დოლარი 2021 წელს). გაიზარდა აგრეთვე ექსპორტი – 2021 წლის იანვარ-ნოემბრის პერიოდში არსებული 1,028 მლნ. აშშ დოლარიდან 2022 წელს 1,134 მლნ. დოლარამდე (10%-იანი ზრდა). აგრეთვე ექსპორტის წილი მთლიანი ექსპორტის მაჩვენებელში 27%-დან 23%-მდე შემცირდა. ეს განპირობებულია იმით, რომ მთლიანი ექსპორტის მაჩვენებელი უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე მხოლოდ აგრო ექსპორტი.

გრძელდება იმპორტის ზრდის ტენდენციაც. მთლიანი იმპორტის მაჩვენებელი გაიზარდა – 2021 წლის იანვარ-ნოემბრის პერიოდში არსებული 9 049 მლნ. აშშ დოლარიდან, 11 981 მლნ. აშშ დოლარამდე 2022 წლის იმავე პერიოდში (32%-იანი ზრდა). იმავე პერიოდში საგრძნობლად გაიზარდა აგრეთვე იმპორტი 1,203 მლნ. აშშ დოლარიდან 1 628 მლნ. აშშ დოლარამდე (35%-იანი ზრდა). თითქმის უცვლელი დარჩა აგრეთვე იმპორტის წილი იმპორტის მთლიან მაჩვენებელში (2021 წელს არსებული 13%-დან, 2022 წელს მაჩვენებელი 14%-მდე გაიზარდა).

იმპორტის ზრდა შეიძლება განპირობებული იყოს ეროვნული ვალუტის გამყარებით, რაც, როგორც წესი, დადებითად აისახება იმპორტზე, მაგრამ უარყოფითად მოქმედებს ექსპორტზე. მიუხედავად აღნიშნულისა, ქართული ექსპორტის ზრდის ტენდენცია შენარჩუნდა და 2022 წლის იანვარ-ნოემბრის პერიოდში ექსპორტის ზრდის უფრო სწრაფი ტემპი დაფიქსირდა, ვიდრე 2021 წლის იმავე პერიოდში.




წყარო: საქსტატი, 2022. შენიშვნა: აგრო ექსპორტი და იმპორტი მოიცავს სურსათს.

მთლიანი ექსპორტის ფართო ეკონომიკური კატეგორიების ჭრილში გაანალიზების შედეგად ჩანს, რომ წმინდა ზრდა განპირობებულია გადამუშავებული სურსათის პროდუქტების და სასმელების ექსპორტის აბსოლუტური ღირებულების ზრდით (მაჩვენებლის ზრდა 54 მლნ. აშშ დოლარს შეადგენს), ხოლო პირველადი (გადამუშავებული) საქონლის ექსპორტის შემთხვევაში აბსოლუტური ღირებულების კლება დაფიქსირდა (11 მლნ. აშშ დოლარით).

საბოლოო მომხმარებლის მიხედვით ყველაზე დიდი ზრდა (48%) ძირითადად სამრეწველო მოხმარებისთვის განკუთვნილი გადამუშავებული სურსათისა და სასმელების ექსპორტში დაფიქსირდა. ამას მოყვა კვლავ სამრეწველო მოხმარებისთვის განკუთვნილი პირველადი სურსათისა და სასმელების ექსპორტის 12%-იანი ზრდა. დაფიქსირდა შინამეურნეობების მოხმარებისთვის განკუთვნილი გადამუშავებული სურსათისა და სასმელების ექსპორტის 7%-იანი ზრდაც, ხოლო პირველადი სურსათისა და სასმელების ექსპორტი შინამეურნეობების მოხმარებისთვის 8%-ით შემცირდა.

ბოლო ათწლეულის განმავლობაში, საქართველოდან განხორციელებული მთლიანი და აგრო ექსპორტის მაჩვენებლები მზარდი ტენდენციით ხასიათდება. გადამუშავებული საკვები პროდუქტების ექსპორტის ზრდის მაღალი ტემპი დადებითად აისახება დარგის განვითარებაზე. თუმცა, საქართველოდან ექსპორტირებული პროდუქტი ძირითადად მაინც შინამეურნეობების მოხმარებისთვისაა განკუთვნილი, ხოლო სამრეწველო მოხმარებისთვის ექსპორტირებული პირველადი და გადამუშავებული სურსათის და სასმელების წილი საკმაოდ მცირეა.

## ექსპორტი ფართო ეკონომიკური კატეგორიების მიხედვით



წყარო: საქსტატი, 2022

შენიშვნა: აგრო ექსპორტი და იმპორტი მოიცავს სურსათს.

## პოლიტიკის მიმოხილვა

### 2022 წლის 12 დეკემბერს, საქართველოს მთავრობა „სამრეწველო ემისიების შესახებ“ კანონპროექტის მიღებას გეგმავს

კანონპროექტის თანახმად, 2026 წლიდან კერძო სექტორს ახალი ვალდებულებები დაეკისრება, რაც მსხვილი საწარმოების სათანადოდ აღჭურვასა და მათი ტექნოლოგიური პროცესის გაუმჯობესებას ისახავს მიზნად. მომდევნო წლებში მოხდება შეფასდება და საპილოტე სექტორების შეირჩევა რამდენიმე საწარმო. შერჩეულ კომპანიებში ევროკავშირის მხარდაჭერით საუკეთესო გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები დაინერგება.

კანონპროექტი „სამრეწველო ემისიების შესახებ“ ითვალისწინებს სამრეწველო საქმიანობით გამოწვეული ჰაერის, წყლისა და მიწის დაბინძურების პრევენციის, შემცირებისა და კონტროლის ახალ, ინტეგრირებულ სანებარტოვო სისტემას. პროექტი ემსახურება ნარჩენების წარმოქმნის პრევენციასაც. გარდა ამისა, კანონპროექტით დარეგულირდება ყველა ის სამრეწველო საქმიანობა (200-მდე მსხვილი საწარმო), რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე.

მეტი ინფორმაციისთვის: <https://mepa.gov.ge/Ge/News/Details/21131/>

### სამცხე-ჯავახეთში უნიკალური მესხური ვაზისა და ქართული ხორბლის ენდემური ჯიშების აღდგენა-გავრცელების პროექტი დაიწყება

პროექტის მიზანია სამცხე-ჯავახეთის რეგიონში აგრარული ბიომრავალფეროვნების მდგრადი გამოყენებისა და დაცვის ხელშეწყობა, სახელმწიფო პოლიტიკისა და არსებული სამართლებრივი ჩარჩოს გაუმჯობესება და რეგიონში ადგილობრივი ვაზისა და ხორბლის ჯიშების პოპულარიზაციის ხელშეწყობა. გეგმის ფარგლებში შემუშავდება აგრარული ბიომრავალფეროვნების მდგრადი მართვის სახელმძღვანელო დოკუმენტები; ფერმერებს გადაეცემათ ადგილობრივი ვაზისა და ხორბლის ჯიშების სარგავი და სათესლე მასალა; მოხდება ფერმერებისთვის შესაბამისი სასოფლო-სამეურნეო და ტექნიკური დახმარების გაწევა; უნარებისა და შესაძლებლობების განვითარების მიზნით, მოხდება ფერმერებისთვის შესაბამისი წვრთნისა და სავალდებულო პირობებში კვალიფიკაციის ამაღლებისთვის სასწავლო პროგრამების შეთავაზება.

მეტი ინფორმაციისთვის: <https://mepa.gov.ge/Ge/News/Details/21056>

ISET T-ის კვლევითი ინსტიტუტი  
<https://iset-pi.ge/en/indexes/3-agri-review>

ავტორები: სალომე დეისაძე [s.deisadze@iset.ge](mailto:s.deisadze@iset.ge)  
ელენე სეთურიძე [elene.seturidze@iset.ge](mailto:elene.seturidze@iset.ge)  
სალომე გელაშვილი [s.gelashvili@iset.ge](mailto:s.gelashvili@iset.ge)